

შპს „ანტრე-2008“

2021 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს "ანტრე-2008"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019	
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	82570	726441	651476	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	103192	105536	136648	
ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	2618232	2383572	2918819	3.2
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები	2555345	2383572	2841875	
მარაგები	378471	266306	256410	
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა	378471	266306	256410	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მოკლევადიანი აქტივები	92	100655	29244	
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	2902	3922	7120	
ძირითადი საშუალებები	4626790	4956756	4537783	3.3
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	7812249	8543188	8537500	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება	14284		59883	3.4
მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლიზინგის) გრძელვადიანი ნაწილი				
სავაჭრო ვალდებულებები	1851293	1997300	2283507	3.4
ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	526327			
საგადასახადო ვალდებულებები	458034		1169	
გამოუმუშავებელი შემოსავალი	556			
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	1510388	815795	1388280	3.5
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	2054405	4151190	3459529	3.5
მიღებული გრანტები				
მ.შ. - გრანტებიდან წარმოქმნ. გრძელვადიანი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები	6415287	6964285	7192368	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	200	200	200	
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	1396762	1578703	1344932	
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				
სულ საკუთარი კაპიტალი	1396962	1578903	1345132	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	7812249	8543188	8537500	
სულ მოკლევადიანი აქტივები	627212	1198938	1150722	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	4360882	2813095	3732839	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 29.09.2022 წ.

დირექტორი:

ა. შიხიძე

თამილა მაისურაძე

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "ანტრე-2008"

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2021	2020	
ნეტო ამონაგები	19620334	14965969	3.6
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	19562958	14965969	
- მომსახურების გაწევიდან	57376		
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
გაყიდვების თვითღირებულება	-7931916	-9084425	
საერთო მოგება	11688418	5881544	
სხვა საოპერაციო შემოსავალი		535349	3.7
დასაქმებულთა ანაზღაურება	-6160115	-2471934	
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-1060947	-782852	
საპროცენტო შემოსავალი	217368	214607	
საპროცენტო ხარჯი	-363689	-462474	
იჯარის ხარჯი	-1581790	-1238956	3.8
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-3269185	-1088717	
სულ საოპერაციო ხარჯები	-12218358	-5294977	
საოპერაციო მოგება	-529940	586567	
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა			
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	146894	-369473	3.9
მიღებული დივიდენდები			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	201104	16677	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	-181942	233771	
მოგების გადასახადის ხარჯი			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	-181942	233771	3.10
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი			
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	-181942	233771	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1578903	1345132	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	1		
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1396962	1578903	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 29.09.2022 წ.

დირექტორი:

ა. მაისურაძე

თამილა მაისურაძე

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

**2021 წლის ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები**

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ანტრე 2008“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. კომპანია დარეგისტრებულია 2008 წლის 4 მარტს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 204549792, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, ჯანაშია ქ. N 28, ბ. 7.

კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად,

1.2. კომპანიის ერთადერთი 100% მფლობელია თამილა მაისურაძე (პ/ნ 01008000666). ის წარმოადგენს ასევე კომპანიის დირექტორს.

1.3. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა საცალო ვაჭრობა პურით, ნამცხვრებით, ფქვილოვანი და შაქრიანი საკონდიტრო ნაწარმით სპეციალიზებულ მაღაზიებში. კომპანია საანგარიშგებო პერიოდში სავაჭრო საქმიანობას ახორციელებდა ლოკაციის 15 ადგილიდან (თბილისში).

1.4. კომპანიას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.5. კომპანიას დასაქმებულ თანამშრომელთა საშუალო რიცხვი 2021 წელს შეადგენდა 259 კაცს.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო

სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე ჩათვლით). 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის შექმნა, ან დებიტორული დავალიანების უფრო ადრე აღიარება საექვო მოთხოვნად.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების

საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25-40 წელი;

მანქანა-დანადგარები - 8-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი;

სარეკლამო საშუალებები - 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 10 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის (გარდა ვებგვერდისა), რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთებით - 10-15%; ვებგვერდის ამორტიზაციისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით 25%.

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.6. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2021 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.7. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.8. გაცვლითი საგალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.0976 ლარი;

1 EUR=3.5040 ლარი.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.2766 ლარი;

1 EUR=4.0233 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2021 წელს: 1 USD=3.2170 ლარი; 1 EUR=3.8152 ლარი.

2020 წელს: 1 USD=3.0937 ლარი; 1 EUR=3.5395 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	37070	679863
ლარი საბანკო ანგარიშებზე (საქართველო)	45492	46578
ევრო საბანკო ანგარიშებზე (საქართველო)	8	0
სულ:	82570	726441

3.2. ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
წინასწარ ანაზღაურებული საიჯარო ქირა	11217	
გადახდილი ავანსები მიმწოდებლებზე	51670	
გაცემული გრძელვადიანი სესხი (ძირი)	888050	933645
გაცემული გრძელვადიანი სესხი (პროცენტი)	1667295	1449927
სულ:	2618232	2383572

აღნიშნული გრძელვადიანი სესხი გაცემულია რეზიდენტ ფიზიკურ პირზე, წლიური საპროცენტო განაკვეთით 20%. სესხის დაფარვა ხდება ნაწილ-ნაწილ, ხოლო საბოლოო

დაფარვის ვადად განსაზღვრულია 31.12.2026 წ. ამასთან, 2022 წელს არ არის მოსალოდნელი სესხის ნაწილობრივი დაფარვა.

3.3. ძირითადი საშუალებები:

ძირითადი საშუალების დასახელება	თავდაპირველი საბალანსო ღირებულება 31.12.2020	დაგროვილი ცვეთა 31.12.2020	ნარჩენი საბალანსო ღირ-ბა 31.12.2020	თავდაპირველი საბალანსო ღირებულება 31.12.2021	დაგროვილი ცვეთა 31.12.2021	ნარჩენი საბალანსო ღირ-ბა 31.12.2021
მიწის ნაკვეთები	302166.00		302166.00	302166.00		302166.00
შენობა-ნაგებობები	2020962.90	295440.76	1725522.14	2045226.96	376964.29	1668262.67
მანქანა-დანადგარები	2420374.54	1740878.24	679496.30	2576415.88	1912637.86	663778.02
კომპიუტ. ტექნიკა და სხვა საოფისე აღჭურვილობა	663933.36	486396.41	177536.95	744047.62	563064.05	180983.57
ავეჯი	1079464.52	691699.82	387764.70	1110843.53	746322.29	364521.24
ავტოტრანსპორტი	209650.86	43893.87	165756.99	209650.86	63587.77	146063.09
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	2723368.62	1433184.17	1290184.45	2911052.05	1827033.02	1084019.03
მცირეფასიანი ინვენტარი და სხვა ძირითადი საშუალებები	1966593.17	1738264.42	228328.75	2217071.72	2000075.52	216996.20
სულ:	11386514	6429758	4956756	12116475	7489685	4626790

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა 2021 წლის ბოლოს შეადგენდა 7489685 ლარს.

2017 წლის თებერვლიდან, კრედიტორის - სს „თიბისი ბანკი“-ს წინაშე არსებული სასესხო ვალდებულებების უზრუნველსაყოფად, დაგირავებულია არსებული ძირითადი საშუალებები და სამომავლოდ შესაძენი მოძრავი ქონება.

3.4. საიჯარო და სავაჭრო ვალდებულებები:

კომპანია ქირაობს უძრავი ქონების 16 ობიექტს (1 საოფისე, 15 - კაფეებისთვის). იმის გამო, რომ საიჯარო ქირის გადახდა მეიჯარეებისათვის, როგორც წესი, ხდება თვის დასრულებამდე, 2021 წლის ბოლოს მდგომარეობით გადასახდელი საიჯარო ქირის ვალდებულება მცირეა და შეადგენს 14284 ლარს.

31.12.2021 წ. მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა სავაჭრო კრედიტორული დავალიანება (გარდა საიჯარო ვალდებულებებისა) სხვადასხვა მიმწოდებლების წინაშე 1851293 ლარის ოდენობით, რომლიდანაც მხოლოდ 221 ლარი არის დავალიანება არარეზიდენტების მიმართ, ხოლო დანარჩენი - რეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ.

3.5 მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხები

კომპანიას გახსნილი აქვს საკრედიტო ხაზი სს „თიბისი ბანკში“ და სარგებლობს მისგან აღებული გრძელვადიანი სესხებით. 2021 წლის ბოლოსათვის, მოქმედი იყო 9 სასესხო ხელშეკრულება, მათგან 6 - ლარში და 3 - აშშ დოლარში. 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, ეს სესხები დისკონტირებულია ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის მიხედვით და მიღებული თანხიდან გამოყოფილია საანგარიშო წლის დასრულებიდან 1 წლის განმავლობაში გადასახდელი თანხები:

გრძელვადიანი სესხის მოკლევადიანი ნაწილი - 292574.90 აშშ დოლარი და 604108 ლარი, სულ - **1510388** ლარი;

გრძელვადიანი ნაწილი - 490054.98 აშშ დოლარი და 536411 ლარი, სულ - **2054405** ლარი.

3.6. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2021 წელს, კომპანიის ნეტო-ამონაგებმა (დღგ-ის გარეშე) შეადგინა 19620334 ლარი, რაც შედგებოდა:

კაფე-რესტორნებით გაწეული საზოგადოების მომსახურების ფარგლებში პროდუქციის რეალიზაცია - 19562958 ლარი;

მარკეტინგული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები - 57376 ლარი.

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება დათვლილია საშუალო შეწონილი ფასების მეთოდის გამოყენებით და 2021 წელს შეადგინა 7931916 ლარი. კომპანია ატარებს ისეთ მარკეტინგულ პოლიტიკას, რომ ყოველი დღის ბოლოს დარჩენილი კვების პროდუქტების ნაშთი უმნიშვნელოა.

3.7. საპროცენტო ხარჯები:

2021 წელს საპროცენტო ხარჯმა შეადგინა 363689 ლარი, რაც მთლიანად შედგება სს „თიბისი ბანკის“ სესხებზე დარიცხული პროცენტებისაგან. ისევე, როგორც წინა წელს, საპროცენტო ხარჯში გათვალისწინებულია გადასახდელი სესხების ამორტიზაცია (დისკონტირების შედეგი) ეფექტური სასესხო საპროცენტო განაკვეთის მიხედვით.

3.8. სხვა ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები:

	2021 წელი
სამეურნეო საქონლის და მასალების ხარჯები	1476771.42
უსასყიდლოდ გაცემულ პროდუქციის ხარჯი	153196.59
რეკლამის ხარჯები	3000.00
საავტორო უფლებების ხარჯები	5506.41
ელექტროენერგიის ხარჯი	452039.72
გაზი, წყალი, დასუფთავება	122159.40
დაცვის ხარჯები	62303.36
კომუნიკაციის ხარჯები	37379.06
საკონსულტაციო ხარჯები	98269.80
საბანკო ხარჯები	258455.17
სარემონტო და საექსპლუატაციო ხარჯები	113199.61
საქველმოქმედო ხარჯები	44798.65
სხვა ხარჯები	442105.86
სულ:	3269185

3.9. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი:

	2021 წელი
სხვა ფინანსური შემოსავლები	41484.94
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	14741.76
ვალების ჩამოწერით მიღებული შემოსავალი	42434.60
ნაჩუქარი ქონება და სხვა სარგებელი	4246.99
პანდემიასთან დაკავშირებული არასაოპერაციო შემოსავალი	105685.94
ჯარიმები და საურავები	-7444.25
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	-45.76
სულ:	201104

3.10. საანგარიშო წლის მოგება/ზარალი:

2021 წელს კომპანიის ზარალმა შეადგინა 191942 ლარი, რამაც შეამცირა წინა წლების გაუნაწილებელი მოგება. 2021 წლის ბოლოს მდგომარეობით, გაუნაწილებელი მოგების ნაშთი შეადგენს 1396762 ლარს. მოგების გადასახადის ხარჯი კომპანიას არ ჰქონია, რადგან 2021 წელს კომპანიას არ გაუნაწილებია დივიდენდები.

3.11. სასამართლო დავები:

კომპანიას 2021 წლის განმავლობაში სასამართლო დავები არ ჰქონია.

3.12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020-2022 წლებში ადგილი ჰქონდა შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენას: მსოფლიო მასშტაბით, გავრცელდა ახალი კორონავირუსი COVID-19, რაც მსოფლიო ჯანდაცვის

ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად. ეს ვითარება გაგრძელდა 2021 წელს და 2022 წელსაც. 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისათვის, პანდემიის მასშტაბები შემცირებულია, მაგრამ სრულად დამარცხებული არ არის.

შექმნილი სიტუაციის მიუხედავად, კომპანიას ფინანსური სირთულეები არ შექმნია და კომპანია უწყვეტ და ჩვეულებრივ რეჟიმში აგრძელებდა ფუნქციონირებას.

2022 წლის 1 იანვრიდან 29 სექტემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში სხვა საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

3.13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2022 წლის 29 სექტემბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.